

ნათელა მირიანაშვილი

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები პართულსა და რუსულში (ზედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)

ცნობილია, რომ ყოველი ენა თავისებურად „ანაწევრებს“ გარე სამყაროს¹. ამ მხრივ ქართულიცა და რუსულიც ერთნაირად გამოყოფენ სპექტრში შვიდ ფერს: წითელს, ნარინჯს, ყვითელს, მწვანეს, ცისფერს, ლურჯს, იისფერს. ზოგ ენაში, მაგ. ფრანგულში, ინგლისურსა და სხვა ენებში სპექტრში ექვს ფერს ასახელებენ, რადგან ცისფერი და ლურჯი ერთი სიტყვით აღინიშნება. არის ენები, სადაც სპექტრში ორ ან სამ ფერს გამოყოფენ (ე. წ. „ცოც ფერებს“ და „თბილ ფერებს“). აქვე შევნიშნავთ, რომ სპექტრული ფერების აღმნიშვნელი ზედსართავების დახასიათებისას რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონები მიუთითებენ მათ ადგილზე სპექტრში. ეს პრინციპი დარღვეულია მხოლოდ სიტყვასთან фиолетовый. ქეგლ-ში მხოლოდ სამ ფერს (ყვითელი, მწვანე, ლურჯი) აქვს მითითებული ადგილი სპექტრის ფერებს შორის. ფერის აღმნიშვნელ დანარჩენ სიტყვებთან (წითელი, ნარინჯი, ცისფერი, იისფერი) ეს პრინციპი დარღვეულია. თანმიმდევრული იქნებოდა მათაც ჰქონოდათ მითითებული ადგილი სპექტრის ფერებს შორის, რაც გახაზავდა მათ სისტემურ ხასიათს, რადგანაც სპექტრი ფერთა უწყვეტ გამას, ერთიან სისტემას წარმოადგენს. ესა თუ ის ფერი შეუმჩნეველად გადადის მეორეში და ყოველთვის განსაზღვრული ადგილი უკავია. მაგ. ნარინჯი ყოველთვის წითელსა და ყვითელ ფერებს შორის არის მოთავსებული, აერთიანებს ამ ორ ფერს და მათი შერევის შედეგად არის მიღებული.

რაც შეეხება ნაირგვარი ელფერის გამოყოფას, აქ გამოვლინდა როგორც საერთო, რაც ამ ორ ენას ახასიათებს, ისე სპეციფიკური, რაც ნაციონალურ თავისებურებას წარმოადგენს.

ორსავე ენაში ყველაზე მრავალრიცხოვანია გვუფი, რომლის ფერი უკავშირდება რაიმე საგნის ან მოვლენის ფერს, მაგ., მცენარეებისას:

¹ Будагов Р. А., Что такое общественная природа языка? ВЯ, 1975, №3, 83-16.

ვარდისფერი, თამბაქოსფერი, სუროსფერი, იისფერი, მაყვლისფერი, ყო-
ლოსფერი, შინდისფერი, ბალახისფერი, აბრიკოსოვანი, როზოვანი, ტაბაჩ-
ნანი, მალინოვანი, რიაინოვანი, ვიშნეოვანი, ბრუსნიკოვანი, კლიუკენოვანი,
მარენოვანი; ცხოველებისას: თაგვისფერი, კურდღლისფერი, მგლისფერი,
ცხვრისფერი, მუშინოვანი; ფრინველებისას: მტრედისფერი, ყორნისფერი,
ხობისფერი, კანარეეოვანი; მეთალებისას: ოქროსფერი, ვერცხლისფერი,
რკინისფერი, ზოლოთი, ზოლოთიანი, სერებრიანი, ჯილდოვანი; მი-
წერალებისას: ფირუზისფერი, ქარვისფერი, მალაქიტისფერი, ლალისფერი,
ბირუზოვანი, იანტაროვანი, აგათოვანი, ამეტიზოვანი, რუბინოვანი,
მალახიტოვანი; კვების პროდუქტებისას: რძისფერი, ჩაისფერი, შაქრის-
ფერი, ღვინისფერი, თაფლისფერი, შოკოლადისფერი, მლოწიანი, ჩაინიანი,
საქარიანი, მედოვანი, შოკოლადიანი; სხვადასხვა საგნებისა და მოვლენე-
ბისას: აგურისფერი, ქვიშისფერი, მიწისფერი, პირისფერი, სანთლისფერი,
ცარცისფერი, ქანკისფერი, კვამლისფერი, თოვლისფერი, ზღვისფერი,
ნახშირისფერი, ფერფლისფერი, სისხლისფერი, ბუთლოვანი, კირპიკოვანი,
პეშოვანი, მიწიანი, ვოსკოვანი, დიმიტიანი, პეშოვანი, კროვანი
და სხვ.

როგორც ვხედავთ, რუსულში მათ სუფიქსური წარმოება აქვთ, ქარ-
თულში — კომპოზიტიური. თავისი აღწერითი ხასიათით ამ ტიპის კომპო-
ზიტი წააგავს რუსულ ანალიზურ სახელწოდებას: **песочного цвета**
(**цвета песка**). ეს კომპოზიტები ზოგჯერ „ფერი“-ს გარეშეც გვხვდება:
ნარინჯი, სოსანი, ლაქვარდი, ძოწი. როგორც აღნიშნავენ, „ძველ ქარ-
თულში ფერის დართვა გარკვეულ სახელზე, რომლის ფერის აღნიშვნა
სურდათ, უფრო ხშირი იყო, ვიდრე დღეს გვაქვს“².

ვ. გაკი³ ფორმის თვალსაზრისით რუსული ენის ფერის აღმნიშვნელ
ზედსართავების შემდეგ ჯგუფებს გამოყოფს:

მარტივი სახელწოდებები:

1. ვითარებითი ზედსართავები: **красный, черный...**
2. ნაკლები ინტენსივობის აღმნიშვნელი სუფიქსიანი ზედსართავები:
голубоватый...
3. მიმართებითი ზედსართავები და გაზედსართავებული არსებითი
სახელები, რომლებშიც ფერი შედარებულია რაიმე საგანთან ან მოვლენ-
ასთან: **огненный, вишневый...**

რთული სახელწოდებები, ორი ზედსართავისაგან შემდგარი: **сине-
зеленый, огненно-рыжий**; მათ შორის ფერის ინტენსივობის შემცველი:
темно-зеленый, ярко-красный...

² ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულ-
ში, თბილისი, 1957, გვ. 159.

³ Гак В. Г. Беседы о французском слове. М., 1966.

ანალიზური სახელწოდებები, ЦВЕТ-სიტყვა დართული: песочного цвета (цвета песка)...

გ. გერასიმოვი⁴ ფერის აღმნიშვნელ ზედსართავეებს გრამატიკული და სიტყვაწარმოებითი თვისებების მიხედვით ორ ჯგუფად ყოფს. პირველს შეადგენენ ზედსართავეები, რომელთათვისაც ფერის მნიშვნელობა ერთადერთი ან მთავარია (თუ სიტყვა მრავალმნიშვნელობიანია). მათ, როგორც წესი, აქვთ ვითარებითი ზედსართავეების თვისებები: მოკლე ფორმა, შედარებითი ხარისხი, აწარმოებენ სუბიექტური შეფასების ფორმებს -еньк-სუფიქსით, ზოგი კიდევ -ехонек-, -ешенек- სუფიქსებით, აწარმოებენ განყენებულ არსებით სახელებს -ев-а, -изн-а, -ость, от-а სუფიქსებით.

მეორე ჯგუფს შეადგენენ არსებითი სახელისგან ნაწარმოები ზედსართავეები, რომლებიც ფერის მნიშვნელობას სხვა საგნებთან მიმართებით გამოხატავენ. გენეტიკურად ისინი მიმართებითი ზედსართავეებია, თანამედროვე რუსულში ერთნაირად იხმარება როგორც მიმართებითი მნიშვნელობით, ისე ვითარებითით, მიმართებითი მნიშვნელობა ძირითადად, ნომინაციური, ვითარებითი (ფერის მნიშვნელობა) — გადატანითი.

ვ. ვასილევჩი⁵ შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

1. „მარტივი“ სიტყვები (красный, кирпичный, рубиновый).
2. ამ სიტყვების შეხამება თავსართიან სიტყვებთან темно-, ярко-და სხვ. (темно-красный, бледно-зеленый...)
3. პირველი ჯგუფის წევრების შეხამება ერთმანეთთან (красно-желтый, серо-голубой...)
4. ფერის სახელწოდება ანალოგიით (цвет запекшейся крови, цвет снятых сливок).

ავტორი ვარაუდობს, რომ ეს უკანასკნელი ჯგუფი „ღია სიმრავლეს“ წარმოადგენს, რაც შეუძლებელს ხდის მის შემოფარგვლას. გამონაკლისს წარმოადგენს ოთხი-ხუთი მყარი გამოთქმა, როგორცაა цвет морской волны, цвет слоновой кости.

თანამედროვე ქართულში ფორმის თვალსაზრისით ფერის აღმნიშვნელი ზედსართავეების რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფდით. ესენია:

1. მარტივფუძიანი ზედსართავეები: წითელი, თეთრი, სოსანი, ლევა, ურუნე...
2. წარმოქმნილფუძიანები:
 - ა) ოდენსუფიქსური წარმოებისა: წით-ურ-ი, თოვლ-ურ-ი; ზურმუხტ-

⁴ Герасимов Г. И., Прилагательные, обозначающие цвет. РЯЗР, 1969, №3.

⁵ Василевич А. П., Наименования цвета в русском языке: Проблема методики исследования. Тезисы VI всесоюзного симпозиума по психолингвистике и теории коммуникации. М., 1978, გვ. 36.

-ოვან-ი, კუბრ-ოვან-ი, ოქრ-ოვან-ი; კუბრ-იან-ი, ლაჟვარდ-იან-ი; ძოწ-
ეულ-ი, მეწამ-ულ-ი.

ბ) პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისა: მო-თეთრ-ო, მო-ცისფრ-ო,
წა-რუხ-ო. ეს ე. წ. ოდნობის გამომხატველი ზედსართავებია.

3. რთულფუძიანი ზედსართავები:

ა) კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი წარმოადგენს ნა-
თესაობით ბრუნვაში დასმულ არსებით სახელს სრული დაბოლოებით,
მეორე კი არის სიტყვა „ფერი“: ვარდის-ფერი, ყანვის-ფერი, ენდროს-
ფერი, თაფლის-ფერი.

ბ) ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: ქათქათა, ქარქარა, ლაჟლაჟა,
ყურყური.

გ) ტოლადშერწყმული ფუძეების მქონე კომპოზიტები: წითელ-მწვან-
ენე, შავ-წითელი, შავ-ყვითელი... ქართულისთვის ამ ტიპის ზედსართავე-
ბი რუსულთან შედარებით იმდენად ბუნებრივი არ ჩანს. გამონაკლისს
წარმოადგენს რამდენიმე მყარი გამოთქმა: შავ-თეთრი, თეთრ-ყირმიზი,
შავ-ყვითელი, წითელ-ყვითელი. უკანასკნელი გამომხატავს არა მხოლოდ
ამ ფერების ნარევს, არამედ საერთოდ ჭრელს, აჭრელებულს. ქართულში
უფრო გავრცელებულია რთული სიტყვები, რომლის პირველ (ან ორსავე)
კომპონენტს ნაკლები ინტენსივობის აღმნიშვნელი სიტყვა წარმოადგენს:
მოვარდისფრო-წითელი, მოწითალო-მწვანე, მოცისფრო-ლურჯი, მონაც-
რისფრო-თეთრი, მომწვანო-ყავისფერი (მეტი აზრობრივი დატვირთვა მე-
ორე კომპონენტზე მოდის); მოთეთრო-მოყვითალო, მოლურჯო-მოწითა-
ლო, მოვარდისფრო-მოყავისფრო, მოყავისფრო-მოწითალო...

4. ორსიტყვიანი ზედსართავები: ღია ლურჯი, მუქი მწვანე, ხასხასა
წითელი, ბაცი ყავისფერი, მღვრიე რუხი, ჭყეტელა ყვითელი, მკრთალი
ცისფერი, ქათქათა თეთრი. ამ ჯგუფის შემოფარგვლა შეუძლებელია.

ორსიტყვიან ზედსართავებში გამოიყოფა ჯგუფი, რომელსაც ემატება
სიტყვა **ფერი** და ისინი კომპოზიტად იქცევიან: კვერცხისგულისფერი,
ზღვისტალღისფერი, სპილოსძვლისფერი, ბროწეულისყვავილისფერი.

ორსავე ენაში გვხვდება ერთი ძირის მქონე ფერის აღმნიშვნელი სი-
ტყვები: **ზაფრანისფერი** და **шафранный**, **ალისფერი** და **алый**, **ლაჟვარ-
დი//ლაჟვარდისფერი//ლაჟვარდოვანი** და **лазурный//лазоревый/лазуре-
вый**, რომლებიც ერთსა და იმავე ფერზე მიუთითებენ.

არის შემთხვევები, როცა ორსავე ენაში ამა თუ იმ ფერის აღსანიშ-
ნავად ეკვივალენტური ფუძეებია გამოყენებული. მაგ., ქართულში გვაქვს
ნაცრისფერი, **ყავისფერი**, **ღარიჩინისფერი** და სხვ. ასევეა რუსულშიც —
золенный, **кофейный**, **коричневый**. უკანასკნელი თარგმნითი ლექსიკო-
ნების მიხედვით არის: **ღარიჩინისფერი** (Д. Чуб.), **მიხაკისფერი**, **ყავის-
ფერი** (უნ, რქლ). ამათგან ადეკვატურ, სრულ შესატყვისად ყავისფერი
უნდა მივიჩნიოთ და არა **ღარიჩინისფერი** (როგორც დ. ჩუბინაშვილის

ლექსიკონშია). თავის მხრივ, ყავისფერისთვის სრული შესატყვისი იქნება არა кофеინი, როგორც ეს ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში გვაქვს, არამედ *коричневый*.

ასეთივე ვითარებაა *зольный* — ნაცრისფერის შემთხვევაში. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი ფუძეები თარგმნისას ყოველთვის არ ფარავენ ერთმანეთს, სემანტიკურ ეკვივალენტებს არ წარმოადგენენ. ეს შეპირობებულია იმით, რომ *зольный* და *кофейный*-ფუძეთა ხმარების არე რუსულში და დარიჩინისფერისა — ქართულში ძალზე შეზღუდულია. ი. სტეპანოვის აზრით, აუცილებელია გავითვალისწინოთ სიტყვების ხმარების სიხშირე მაშინაც კი, როცა მათ ერთნაირი გარემო აქვთ⁶.

როგორც ნ. ფელდმანი აღნიშნავს, -სიტყვის ხმარება მხოლოდ იმით არ განისაზღვრება, თუ რა ლოგიკურ შინაარსს შეიცავს ის ან რა ცნებას აღნიშნავს იგი. ის დამოკიდებულია გრამატიკულ კატეგორიაზე, რომელსაც მიეკუთვნება; მის სემანტიკურ მიმართებაზე სინონიმებთან, მნიშვნელობით ახლოს მდგომ სიტყვებთან; მის სტილებრივ და ექსპრესიულ ელფერზე; დაბოლოს, მასზე გავლენა აქვს სიტყვის შინაგან ფორმას და მის ისტორიას. ცხადია, რომ სხვადასხვა ენის მნიშვნელობით ეკვივალენტური სიტყვები ძალიან იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს ყოველმხრივ და ამიტომ მათი ხმარების არე ძალიან იშვიათად არის აბსოლუტურად ერთნაირი⁷.

ისტორიულად ადეკვატური ფუძეებია აგრეთვე მტრედისფერი და *голубой*. ადრინდელი პერიოდის ძველ რუსულ წყაროებში *голубой*, მხოლოდ ცხენის ბეწვის შეფერილობის აღსანიშნავად არის ნახმარი. როგორც ნ. ბახილინა აღნიშნავს⁸, აქ განსხვავებულია *серый* და *голубой*, რაც მას ავარაუდებინებს, რომ ეს ჩვეულებრივი ნაცრისფერი კი არ იყო, არამედ რაღაც ელფერის მქონე ნაცრისფერი, ხოლო რა ელფერისა — ავტორს უჭირს ამის თქმა. ყოველ შემთხვევაში უფრო მოგვიანებით *голубой*, როგორც ცხოველის ბეწვის შეფერილობის აღმნიშვნელი, მიუთითებს ფერფლისფერ-რუხზე, თავისფერზე, მოიასამნისფროზე. შემდგომ მისი ხმარების სფერო გაფართოვდა და დღევანდელ რუსულში, როგორც ნ. ბახილინა აღნიშნავს, მას თავისებური ადგილი უკავია. რა თქმა უნდა, ის ლურჯის ჯგუფში შედის, რადგან მისი ელფერია, ღია ლურჯია. მაგრამ რიგ შემთხვევაში ისინი სინონიმები არიან. ამიტომ ერთნაირად იხმარება: *голубое небо* — *синее небо*, *голубая река* — *синяя река*,

⁶ Степанов Ю. С., Французская стилистика. М., 1965, გვ. 122.

⁷ Фельдман Н. И., О границах перевода в иноязычно-русских словарях, ЛС, М., 1957, вып. II, გვ. 83.

⁸ Бахилина Н. Б., История цветообозначений в русском языке. М., 1975, გვ. 194.

голубые глаза — синие глаза და სხვ.⁹ თუმცა, აღნიშნავს ავტორი, არის შემთხვევა, როცა ეს ორი ფუძე ერთმანეთს ვერ ფარავსო. მხედველობაში აქვს სილურჯე ადამიანის კანისა. ისეთი გამოთქმები, როგორიცაა голубое лицо, руки, губы, რუსულსათვის უჩვეულოა. ერთ-ერთ მიზეზად ავტორს მიაჩნია ის, რომ голубиный-ფუძეს მაინც დაჰკრავს რაღაც მინიმალური ემოციური ელფერი, ის მაინც ინტენსიური, ლამაზი ფერია და უფერული, ავადმყოფი, შეშინებული ადამიანის სახის ფერის გამო-სახატავად არ გამოდგება. თუმცა, დასძენს ავტორი, შეიმჩნევაო ტენდენცია ამ ზედსართავის ხმარების სფეროს გაფართოებისა.

ამდენად, голубиный-ფუძეს სადღეისოდ ვერ მივიჩნევთ მტრედისფერ-ის შესატყვისად, როგორც ეს დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონშია. მტრედისფერი იხმარება ცის მუდმივ ეპითეტად. შეიძლება სწორედ ამან შეუწყო ხელი იმას, რომ ის გაგებულ იქნა ცისფერის სინონიმად. მართალია, ქეგლ-ის ფონდში მოიპოვება ი. გოგებაშვილის ილუსტრაცია — „მზის ... სხივს შეადგენს შვიდი ფერი: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მტრედისფერი და იისფერი“, — სადაც მტრედისფერში ცისფერი იგულისხმება, მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა ასეთი ხმარებისა. ამჟამად სპეციალურ ლიტერატურაში სპექტრის შვიდ ძირითად ფერს შორის ასახელებენ ცისფერს. ქეგლ-ში მტრედისფერი განმარტებულია როგორც ღია ლურჯი, მოცისფრო, ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში მას შეესატყვისება голубоватый. ვფიქრობთ, მტრედისფერის ასეთი განმარტება და თარგმანი სრულად არ გადმოსცემენ მის ფერს. მტრედისფერი არ არის მხოლოდ მოცისფრო. ის უნდა აღნიშნავდეს ნარევ ფერს, რასაც მხარს უჭერს როგორც ლექსიკონებში მოყვანილი ილუსტრაციები, ისე ფონდის მასალა. მეორეც, „სემანტიკური ადეკვატურობის პარალელურად ორენოვან ლექსიკონებში სტილისტიკური ადეკვატურობაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ე. ი. სემანტიკურად ზუსტი ეკვივალენტები ლექსიკონში სტილისტიკური თვალსაზრისითაც

⁹ ქართულშიც არის მათი სინონიმური ხმარების შემთხვევები: ცისფერი თვლები — ლურჯი თვლები...

ნ. დუმბაძის გმირი ასე განმარტავს ლურჯს: „ლურჯი რა ფერია, ხატია, და ცისფერია“.

რუსულსგან განსხვავებით ქართულში ცაზე მხოლოდ ლურჯს ამბობენ. ამიტომ ლურჯი ცა გადაიქცემა როგორც голубое небо და синее небо:

ცა უზომოდ მაღალი და ლურჯი იყო (რ. ჯაფ.).

Небо было высокое и голубое.

ჩიტები კი მღეროდნენ, ჭლიოდნენ ...ცა იყო ლურჯი ...უ ლურჯესი (გ. ლონ.).

А птицы пели, шебетали... Небо было синее... синее (ქრლფ.).

უნდა შესატყვისებოდნენ ერთმანეთს¹⁰. მტრედისფერი, ჩვეულებრივ, ისეთ კონტექსტებში გვხვდება, როგორცაა: მტრედისფრად თენდება, გათენდა; მტრედისფრად ინათა და ა. შ. ქრლ ფონდში არსებულ ილუსტრაციებში მტრედისფერი სხვადასხვანაირად არის თარგმნილი:

მტრედისფერმა გადაჰკრა გუმბათსა (ილია).

В вышние проступила синева.

აღმოსავლეთი მტრედისფრად აკამკამდა (რ. ჯაფ.).

Небо на востоке заблестело блеклым голубиным цветом.

მტრედისფრად ინათა... (დ. შენგ.).

Забрезжило.

...მტრედისფრად რომ ინათებდა... (ილია).

Чуть сизо-голубым подернется рассветное небо.

გათენდა მტრედისფრად (ილია).

Сизым стало небо, светало.

როგორც ვხედავთ, თარგმანთა უმრავლესობა გულისხმობს მონაცრისფრო-მოცისფროს; მოცისფრო, მოიისფრო ნაცრისფერს (забрезжило, голубиный цвет, сизо-голубой, сизый). მართალია, сизый განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით უფრო მუქი ფერი ჩანს: темно-серый с густым синеватым отливом (Уш), темно-серый с синеватым отливом (БАС), темно-серый с синеватым отливом, серо-голубой (МАС), მაგრამ ოთხტომიანი ლექსიკონი (МАС) მის შედარებით ღია ფერზეც მიუთითებს — серо-голубой.

თარგმნით ლექსიკონებში сизый-ს შემდეგი შესატყვისები აქვს: ვეჟანი, შავ-მოიისფრო, ტრედისფერი (Д. Чуб.); შავმოიისფრო, ვეჟანი (უნ), მტრედისფერი, ნაცარა (რქლ).

ამ შესატყვისებიდან მტრედისფერი (დ. ჩუბ., რქლ) თითქოს უფრო ახლოსაა сизый-სთან, გინდაც ის შედარებით ღია ელფერზე მიუთითებდეს.

Сизый-ს შესატყვისებიდან ინტერესს იწვევს ვეჟან-ფუძე, რომელიც საბასთან განმარტებულია როგორც წითელშავი. ამასვე იმეორებს ქეგლ-თანამედროვე ენაში ვეჟანი იშვიათად გვხვდება. ქეგლ-ის ფონდში სულ რამდენიმე (3) ილუსტრაცია დასტურდება:

1940 წლის გაზაფხულზე აღმოჩნდა, რომ „...კრიმკას“ ჯიშში მცენარეებმა ბევრად დაჰკარგეს კულტურული შეხედულება. მათ ინტენსიურად ვეჟანი (შავმოიისფრო) იერი და წვრილი თეთავი ჰქონდათ (ლიხენკო, აგრობიოლოგია, 1950).

შებუბვლის შეფერვით არის რამდენიმე სახესხვაობა: სუფთა თეთრი, ...ნაცარათეთრი, ნაცრისფერი, ვეჟანათეთრი. (ანთ. და მელით. თარგმ. მეფრინგ.).

მისი [ძელჭორის] ჩრდილი ასდევნებია... დაშორისორკებულად აწოწილ ვეჟან ავშანს („ლიტ. და ხელოვნ.“, 1951).

¹⁰ Головащук С. И., Передача значений слов и фразеологизмов одного языка средствами другого языка как основная проблема двуязычной лексикологии. АКД. Киев, 1970.

პირველ შემთხვევაში ვეუანი, ვფიქრობთ, დ. ჩუბინაშვილის ან უნივერსიტეტის ლექსიკონის მიხედვით არის დაზუსტებული და განმარტებული. მეორე ილუსტრაციაში, თითქოს, მონაცრისფრო, მორუხო ფერი იგულისხმება, რადგან მოქცეულია ამ ფერთა გამაში (გამორიცხული არ არის რაღაც ელფერი დაჰკრავდეს). უკანასკნელ ფრაზაში კი (ვეუანი ავშანი) აშკარად მორუხო, მონაცრისფრო უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ავშანი არის „მრავალწლოვანი მცენარე (რთულყვავილოვანთა ოჯახიდან), ტრამალეზა და ნახევრად-უღებოებში გავრცელებული. ფოთლები დანაცვთული აქვს, ბუსუსიანი, მონაცრისფრო. ითვლება ცხვრის კარგ საკვებად. იხმარება აგრეთვე მწერების მოსასობად“ (ქეგლ). ე. ი. ავშანს მონაცრისფრო ფოთლები აქვს და ვეუანში ეს ფერი იგულისხმება. თარგმნით ლექსიკონებში ვეუანს შეესატყვისება: сизый, серый, бурый (დ. ჩუბ.), серый (ქ. დათ.). სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში сизая чайка თარგმნილია როგორც ვეუანი მეთოვლია.

მაგალითების სიმცირე გადაჭრით რისამე თქმის უფლებას არ გვაძლევს. რაც გვაქვს, იმის მიხედვით ჭარბობს ნაცრისფერი, შესაძლოა რაღაც ელფერის მქონე ნაცრისფერი. იქნებ არ იყოს გამორიცხული, რომ ძველად ვეუანი რაღაც შერეულ ფერს აღნიშნავდა და მასში შემავალი რომელიმე ფერის სიჭარბის გამო სხვადასხვა ელფერს შეიცავდა. ხომ არ გვაქვს აქ რუსული смурый-ს ანალოგიური შემთხვევა?

Смурый განმარტებულია როგორც темносерый, темнобурый. როგორც ჩანს, ასეთი განმარტების შედეგად ის მიჩნეულ იქნა ორი სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელად, რამაც თარგმნით ლექსიკონებში იჩინა თავი და, თუ ნ. ჩუბინაშვილისა და დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონებში მას შეესატყვისება ლევა, ნაცრისფერი, რქლ-ში თარგმნილია როგორც მუჭი რუხი, მუჭი წაბლისფერი. Смурый რომ ერთ ფერს გულისხმობს, შემდეგი ილუსტრაციიდან ჩანს:

Переулок звался Смурским и был, правда, буровато-серым, смурым (Федин, БАС).

ვ. დალის ლექსიკონში ვკითხულობთ¹¹:

Смурый (от мрак, сумрак) темного, мешаного цвета, избура-черносерый. Смур кафтан, да душа бела.

სრული შესატყვისი აქვს წაბლისფერს — каштановый. მართალია, რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში აღნიშნულია, რომ каштановый, ჩვეულებრივ, თმის გარდა ცხოველის შეფერილობის აღსანიშნავად იხმარება, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფრაზები ლექსიკონებში ვერ

¹¹ В. Даль. Толковый словарь живого великорусского языка. I—IV, С.-Пб.—М., 1903.

ვნახეთ. ცხოველებს შეფერილობის აღსანიშნავად გამოყენებულია **бурый**. თარგმანებშიც **წაბლისფერს** ასეთ შემთხვევებში შეესატყვისება არა **каштановый**, არამედ **бурый**, რომელიც თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით არის:

მურა შე-მოწითალო, ჯიგრის ან წაბლის ფერი, რახსი, რუხა (დ. ჩუბ.). წაბლისფერი, მურა, ინგუშა, შეწითელი, ზანგელა (უნ); წაბლისფერი, წაბლა, მურა (რქლ).

როგორც ვხედავთ, შესატყვისები მეტად მრავალფეროვანია. ვფიქრობთ, სასურველია, თუ არის ამის საშუალება, დაიძებნოს კონკრეტული შესატყვისი. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს, ჩვენი აზრით, **მურა**, რომელიც ყოველგვარი კონტექსტისთვის გამოდგება. უნივერსიტეტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში გვხვდება **бурый уголь** — მურა ნახშირი, **бурая собака** — მურა. **მურას** შესატყვისად **бурый** წარმოდგენილია ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში. სიტყვა **წითელმურაც** გადმოიცემა როგორც **красно-бурый** (დათ.). რქლ-ის ფონდში მოყვანილ ილუსტრაციათა უმრავლესობაშიც **бурый** თარგმნილია როგორც **მურა**.

ამრიგად, აქ წარმოდგენილი მასალის თანახმად, წაბლისფერის ადეკვატური შესატყვისია **каштановый**, ხოლო ცხოველების შეფერილობის მიმართ იხმარება **бурый**. **Бурый**-ს ეკვივალენტია **მურა**, თუმცა ცხოველის შეფერილობის აღსანიშნავად განსხვავებული შესატყვისიც შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც ეს თარგმნით ლექსიკონებშია: **бурая корова** — წიქარა, წაბლა; **бурая лисица** — ჯილაო, **бурая лошадь** — ქურანი, შვინდა, წაბლა და სხვა.

როგორც ლ. შჩერბა აღნიშნავს, „თარგმნისას ფრაზებიდან უნდა ამოვიდეთ და არა სიტყვებიდან, ე. ი. თარგმანი რეალური ფრაზისათვის უნდა ვარგოდეს“¹². ამიტომ პირველ რიგში კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ. ორენოვან ლექსიკონში სიტყვა უფრო მეტად არის დაკავშირებული კონტექსტთან, ვიდრე განმარტებით ლექსიკონში, რადგან სიტყვის ხმარების საკითხი უფრო არსებითია ორენოვანი ლექსიკონისათვის, ვიდრე განმარტებითისათვის“¹³.

მაგ., რკინისფერი და **железный** ეკვივალენტები არიან, მაგრამ ისინი ყოველთვის ვერ ფარავენ ერთმანეთს, რადგან რუსულში **железный** цвет შეიძლება თმის მიმართ იყოს ნახმარი: **Его крошечное личико совершенно исчезло под целой громадой седых, железного цвета волос. (Тург., БАС). Наконец появился на деревне ратник Цыган, весь зарос железной бородой, глаз выбит...** (А. Н. Толст., МАС).

¹² Щерба Л. В. Русско-французский словарь. Предисловие. М., 1957, 83-6.

¹³ Сукаленко Н. И., Двухязычные словари и вопросы перевода. Харьков, 1976, 83-11.

ასეთი ხმარება ქართულისთვის ბუნებრივი არ ჩანს და თარგმანიც, ცხადია, განსხვავებული იქნება. ჩვენი აზრით, აქ უბრალოდ ჭაღარა, ქალარაშერთული თმა იგულისხმება, შეიძლება უფრო მეტ თმაში შერეული ჭაღარა. ხოლო ქეგლ-ში ზოცვანილ ილუსტრაციაში: „ფარებისაგან შეკრულ საკაცით ძლივს გაიყვანეს მეფე დაჭრილი..., რკინის ფერ სახით ახლდნენ მხლებლები, თითქოს გულს ჰქონდათ შუბი გაჩრილი“ (გ. ლეონ.) — რკინისფერი სახის მიმართ არის ნახმარი, მიწისფერ-ის სინონიმი და ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, სხვაგვარი შესატყვისით უნდა გადმოვიცეს (მაგ. землистый, серый).

ამრიგად, სათარგმნი სიტყვის ეკვივალენტი ყველა შემთხვევაში შეიძლება არ გამოდგეს მის გადმოსაცემად. როგორც ლ. შჩერბა წერდა, „ერთი ენის სიტყვები უმრავლეს შემთხვევაში უბრალოდ კი არ შეესატყვისებიათ მეორე ენის სიტყვებს, არამედ მათთან მეტად რთულ და სხვადასხვაგვარ ურთიერთობაში არიან“¹⁴.

ერთი შეხედვით ეკვივალენტებად შეიძლება მოგვეჩვენოს ხორბლისფერი და пшеничный. რქლ-ის ფონდშიც ნ. ოსტროვსკის ილუსტრაცია: «У Волынцева пшеничные волосы и такие же нрови» — თარგმნილია ასე: „მას ხორბლისფერი თმები და წარბები ჰქონდა“. ეს თარგმანი შეიძლება რუსულის კალკად მივიჩნიოთ. მართალია, ქეგლ-ის ფონდშიცაა ორი შემთხვევა (თოთხმეტიდან), სადაც ხორბლისფერი თმის ფერის აღსანიშნავადაა გამოყენებული, მაგრამ ეს ავტორის ენის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ და არა ნორმად. ამას მხარს უჭერს ქეგლ, სადაც ხორბლისფერი მხოლოდ კანის ფერია. ხორბლისფერი пшеничный-ს სრულ შესატყვისად არ გამოდგება, რადგან მათი გამოყენების სფერო განსხვავებულია: пшеничный, ჩვეულებრივ, თმაზე ითქმის, ხორბლისფერი კი — კანზე. Пшеничный აღნიშნავს ღია ფერის თმას, რომელსაც ოქროსფერი დაჰკრავს. ასეთი ფერის თმისთვის ქართულში შეიძლება გამოვიყენოთ თავთუხისფერი, რომელიც, მართალია, არ გვხვდება ლექსიკონებში, მაგრამ დასტურდება ქეგლ-ის ფონდის მასალებში:

თავთუხისფერი კულულები გადმოიღვარა მის [ქიბერის] მაღალ შუბლზე (ყ. გამს.). მზერა-უძირო და უსაშველო საბედისწეროდ ღრმა, და შემოწული შუბლის გარშემო თავთუხისფერი თმა (მ. ქვიციკ).

ეს ფუძე „ფერი“-ს გარეშეც არის ნახმარი: „თავთუხის თმები ჰქონდა ლესიას“ („ახ. კომ.“) და კომპოზიტის სახითაც გვხვდება: „სცენაზე ავიდა თავთუხისფერთმიანი გოგონა“ („ახ. კომ.“).

როგორც ვხედავთ, თავთუხისფერი ბუნებრივია ქართულისათვის. მსგავსად пшеничный-სიტყვისა ისიც მხოლოდ თმის ფერზე მიუთითებს,

¹⁴ Щерба Л. В., იქვე.

ლიტერატურაში ხშირად გვხვდება, რაც უფლებას გვაძლევს თავთუხის-ფერი пшеничный-ს აღეკვატურ შესატყვისად მივიჩნიოთ.

ეკვივალენტური ფუძეებია აგრეთვე შაქრისფერი და сахарный. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ შაქრისფერი იხმარება ადამიანის სახის ფერის გამოსახატავად და მიუთითებს მოთეთრო, ფერმკრთალ ადამიანზე, რომელსაც თმა და თვალ-წარბი მუქი (შავი) აქვს.

[გულს] ცოტა მოგრძო, ლამაზ შაქრისფერ სწორ პირსახეს, რომელსაც ისე შევნიშნა მყუდროებით შავ-შავი თვლები, ამ დროს რაღაც ნაღვლიანობა ეტყობოდა (ე. ნინოშვი.).

თეთრი საქორწინო კაბა... არ მოუხდება ჩემ შაქრისფერ სახეს („ციცქ.“).

ელისაბედი და დედამისი შაქრისფერი თეთრი ქალები იყვნენ (ე. ნინოშვი.).

ქეგლ-ში მოყვანილ შემდეგ ილუსტრაციაში: „ბელაგია შაქრისფერო, შავი რომ ხარ, რა გიშველო?“ (ხალხ.). შაქრისფერი შეიძლება დაცინვით იყოს ნახმარი, რათა სიშავეს გაესვას ხაზი. Сахарный კი აღნიშნავს ძალიან თეთრს, ქათქათა თეთრს:

На десятки метров вокруг сахарную белизну снега засыпала взрыхленная земля (Н. Остр., Уш.).

ამ ფრაზას რქლ-ის ფონდში თარგმანი აქვს: „გარშემო ათეული მეტრის მანძილზე დაფაშრულმა მიწამ შაქარივით თეთრი თოვლი დაფარა“, რაც რუსულის კალკად მიგვაჩნია, რადგან ამ ტიპის შედარება (შაქარივით თეთრი) ქართულისთვის არ არის ბუნებრივი. აქ შეიძლება გამოვიყენოთ: ქათქათა თეთრი ან, თუ შედარების სახით გვინდა, ბამბასავით თეთრი, ბროლივით თეთრი. ბუნებრივია ქართულისთვის აგრეთვე თოვლივით თეთრი, მაგრამ ამ შემთხვევისთვის ის არ გამოდგება.

არის შემთხვევა, როდესაც ერთნაირ გამოთქმას ქართულსა და რუსულში აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა: შავი ტყე და черный лес. შავი ტყე ქართულში უღრან, დაბურულ ტყეზე ითქმის:

ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასა (ხალხ.). საქართველოში ბლომად არის ტყე.. გაუვალი, შავი ტყე (პ. ლომი., ქეგლ.).

რუსულში კი черный лес ითქმის ფოთლოვან ტყეზე:

Породы деревьев, теряющие свои листья осенью и возобновляющие их весной, как-то: дуб, вяз, осокорь, липа, береза, осина, ольха и другие, называются черным лесом или чернолесьем (Акс.).

და შესაბამისად თარგმანი აქვს — ფოთლოვანი ტყე (რქლ).

აგრეთვე, თეთრი თმა ქართულში ჭაღარაზე ითქმის, რუსულში კი белые волосы აღნიშნავს ჭაღარას და ძალიან ღია ფერის თმას:

«Трехлетний ребенок в одной рубашонке, почесывая свою белую мохнатую голову, с удивлением глядел на зашедшего одинокого горожанина (Дост., БАС).

ასეთ შემთხვევაში **ქერა-ფუტე** უნდა გამოვიყენოთ, რადგან ქართულში ქერა თმაზე, რაგინდ ღია ფერის არ იყოს ის, თეთრს არ ამბობენ.

თეთრი ხორცი ქართულში ითქმის ქათმისა და ინდაურის ხორცის გარკვეულ (მკერდის) ნაწილებზე:

აუცილებელია აღინიშნოს ქათმისა და ინდაურის ხორცის, რომელიც ეგრეთ წოდებულ „თეთრი ხორცის“ კატეგორიას ეკუთვნის, მაღალი ღირსება (ქეგლ.).

რუსულში კი **თეთრ ხორცში** შედის აგრეთვე ხბოსა და მისთ. ხორცი: куринное мясо, телятина и т. п. (БАС).

არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ფერი ქართულსა და რუსულში სხვადასხვა რეალიებთან არის დაკავშირებული. მაგ.: **პირისფერი** — розовый, **შინდისფერი** — вишневый და სხვ. უკანასკნელი სხვადასხვა მცენარის ნაყოფის ფერს უკავშირდება: **მწიფე ალუბლის** ფერს — რუსულში და **მწიფე შინდის** ფერს — ქართულში. მართალია, შინდი არ არის გავრცელებული რუსეთში, ის უფრო სამხრეთის მცენარეა, ამდენად გასაგებია, რომ ამ ფერს ალუბალს უკავშირებენ, მაგრამ საქართველოში შინდიცა და ალუბალიც ორივე საკმაოდ გავრცელებულია. და სწორედ ეს არის საინტერესო, რომ ქართულში მისი ფერი დაკავშირებულია შინდთან და არა ალუბალთან. თუმცა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში **ВИШНЕВЫЙ ЦВЕТ** თარგმნილია როგორც ალუბლისფერი; ეს სიტყვისიტყვი თარგმანია და არ ჩანს ბუნებრივი, რასაც ამ სიტყვის ხმარების სიხშირე და აქტიურობა განსაზღვრავს. ამიტომ **ВИШНЕВЫЙ**-ს ადეკვატური შესატყვისი განსხვავებული ფუძის მქონე **შინდისფერი** იქნება.

რა თქმა უნდა, სასურველია ყოველ სიტყვას ჰქონდეს ეკვივალენტი, „რომელიც უნდა ვავიგოთ არა როგორც იგივეობა, არამედ როგორც განსაზღვრული სახეობის შესატყვისი ორი ენის სიტყვებს შორის“¹⁵.

ეკვივალენტი მრავალ სიტყვას აქვს. ესენია ყველა ძირითადი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა: წითელი — красный, მწვანე — зеленый, თეთრი — белый და სხვ. სხვადასხვა ელფერის გამომხატველი ზედსართავეები: ბალახისფერი — травяной, გიშრისფერი — агатовый, კვამლისფერი — дымчатый, მარჯნისფერი — коралловый, ქარვისფერი — янтарный; ვასილკოვსკი — лилово-розовый, ოლივოვსკი — оливковый, შეთისხილისფერი, შოკოლადისფერი — шоколадный, შოკოლადისფერი, რჟავისფერი — ржавый, ხაკი — хаки, სინევატი — синеватый, მოლურჯო, სერვატი — сероватый — მონაცრისფრო და სხვ.

როგორც ი. სტეპანოვი აღნიშნავს, სიტყვები, რომლებსაც (თუნდაც

¹⁵ Колетвинова Т. Д., Лексико-семантические особенности микросистемы имен прилагательных «HARD» и «твердый» в английском и русском языках. Сравнительно-сопоставительное изучение языков. Казань, 1978, გვ. 59.

დაახლოებით) ერთნაირი გარემო აქვთ, თარგმნით ლექსიკონებში სრულ ეკვივალენტებად უნდა ჩაითვალოს¹⁶.

როდესაც სიტყვას სრული შესატყვისი არ მოეპოვება, მას თარგმნიან სინონიმით, მიახლოებითი შესატყვისით ან აღწერით თარგმანს მიმართავენ.

სინონიმად უმაჯორესად ძირითადი ფერის აღმნიშვნელი სახელებია გამოყენებული: კურდღლისფერი — серый (დათ.), ლიბრი — синий (ნ. ჩუბ.), ლილისფერი — синий (დათ.), მაცვლისფერი — черный (დათ.), ჟანგაროსფერი — зеленый (დათ.), სანთლისფერი — желтый (დათ.), კანარეეჩნის — ყვითელი (უნ), ულტრამარინოვანი — ლურჯი (სმტ) და სხვ.

აღწერითი თარგმანი აქვს სიტყვებს: ენდროსფერი — карминово-красный, ავღისფერი — пепельно-серый, თავისფერი — темно-серый, მუშინო-სერისფერი — таფლისფერი — цвета меда, желтовато-коричневый, ისრიმისფერი — синева-зеленый, მოლისფერი — нежно-зеленый, ჟანგისფერი — красно-бурый, რძისფერი — матово-белый, სისხლისფერი — цвета крови, კრავო-სერისფერი, კანარეეჩნის — ჭყეტელა ყვითელი, კაშტანოვანი — ღია ყავისფერი, კრემოვანი — ღია, ბაცი ყვითელი; васильковый — მოჭირებულად ლურჯი (დ. Чуб.), ღია ლურჯი (რქლ); рудожелтый — მოწითლოდ ყვითელი (დ. Чуб.).

ვ. ბერკოვი წერს, რომ „სიტყვის აღწერა, განმარტება თარგმნით ლექსიკონში — ეს გადაუღახავი სირთულეა და მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ სიტყვას მეორე ენაში მართლაც არ აქვს ეკვივალენტი¹⁷“.

მიახლოებითი, მიმსგავსებითი შესატყვისით არის თარგმნილი: მოლისფერი — красноватый (დ. ჩუბ.), ჯივრისფერი — бурый (დ. ჩუბ.); перловый, — მოთეთრო (დ. Чуб.) და სხვ.

შესატყვისების ტიპებს შორის ყოველთვის არ არის მკვეთრი ზღვარი და ხშირად ჭირს ამა თუ იმ შესატყვისის შეტანა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფში. მით უმეტეს სათარგმნ სიტყვას ხშირად რამდენიმე სრულიად განსხვავებული შესატყვისი აქვს მითითებული, რომლებიც სხვადასხვა ტიპს მიეკუთვნება. მაგ.:

палевый — ჩალისფერი, ქარცი, ბაცი ყვითელი, მოთეთრო-მოყვი-თალო (უნ);

бурый — მურა, შავ-მოწითალო, ჯივრის ან წაბლის ფერი, რახსი, რუხა (დ. Чуб.); წაბლისფერი, მურა, ინგუშა, შავწითელი, ზანგელა (უნ), წაბლისფერი, წაბლა; მურა (რქლ);

¹⁶ Степанов Ю. С., დასახელებული ნაშრომი. გვ. 122.

¹⁷ Берков В. П., О словарных переводах. В кн. Мастерство перевода. Сб. 8, 1971, М., გვ. 344.

багровый — მეწამული, ჯიგრის ფერი; ლებოვანი, დალურჯებული; **ხორცისფერი** — телесный, **бланжевый** (დ. ჩუბ.); **инкарнатный** **мясо-красный** (სმტ).

ზღვისფერი — цвета моря, синий, лазоревый.

ლილოვ — სოსანი, ლილისფერი (დ. Чуб. უნ), ზამბახისფერი, რომელა ცისფერი აღისფერთან შეხამებული (ნ. ჩუბ.); ლილისფერი, იისფერი, სოსანი (რქლ);

васильковый — შავი, მოჭირებულად ლურჯი (დ. Чуб.); ღიღილოსფერი, ღია ლურჯი (რქლ) და სხვ.

მაგ., უკანასკნელისათვის (**васильковый**) თარგმანი **მოჭირებულად ლურჯი** და **ღია ლურჯი** აღწერითი იქნება, **ღიღილოსფერი** — ადეკვატური შესატყვისია, ხოლო **შავი** არ არის მართებული.

ან ავიღოთ **სანთლისფერი** — желтый, мертвенно-бледный; восковой (დათ.). პირველ შემთხვევაში (желтый) სინონიმით გადაიცემა, მეორე (мертвенно-бледный) აღწერითი თარგმანია, მესამე (восковой) — ადეკვატური შესატყვისი. ამიტომ ერთი სიტყვა შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში შეგვხვდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ შესატყვისს გამოვყოფთ.

ორივე ენისთვის დამახასიათებელია ლექსიკური დუბლეტები ანუ აბსოლუტური სინონიმები. მაგ.: ჩალისფერი — ნამჯისფერი, თამბაქოსფერი — თუთუნისფერი, სანთლისფერი — ცვილისფერი, მურისფერი — ჭვარტლისფერი, ფერფლისფერი — აელისფერი და სხვ. რუსულში: **табачный** — **сигаровый**, **оранжевый** — **померанцевый**, **соломенный** — **палевый**...

დროთა განმავლობაში აბსოლუტური სინონიმები შეიძლება დიფერენცირებულ იქნენ და გადავიდნენ სინონიმების რიგში¹⁸. ისტორიულად აბსოლუტური სინონიმებია **сиреневый** — **лиловый**. უკანასკნელი ნასესხები ფუძეა, ფრანგული *lilas*-იდან მოდის. რუსული სუფიქსის წყალობით ის აღარ აღიქმებოდა როგორც ნასესხები და ძალიან მალე **сиреневый**-ს გვერდით დამკვიდრდა. როგორც ლ. გრანოვსკაია აღნიშნავს, დროთა განმავლობაში ისინი დიფერენცირებულ იქნენ და **сиреневый** უფრო ღია ელფერისთვის დამკვიდრდა **лиловый**-სთან შედარებით¹⁹.

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური დუბლეტები რუსულში ხშირად სინონიმური აფიქსების მეშვეობით ერთისა და იმავე ძირისაგან ნაწარ-

¹⁸ Мустаев Е. Н., О заимствовании и образовании в марийском языке. Сов. финно-угроведение, 1974, № 1, გვ. 141.

¹⁹ Грановская Л. М., Прилагательные, обозначающие цвет в русском языке 17—20 вв. АКД, М., 1964, გვ. 13.

შობე სიტყვებს წარმოადგენენ²⁰: **аквамариновый** — **აკვამარინოვნი**, **дымный**—**დუმჩათნი**, **землистый**—**земляной**—**землянистый**, **кошенилевый**—**кошенильный**, **красный**—**красноцветный**, **кумачный**—**кумачевый**, **медный**—**медяный**—**медянистый**, **огневой**—**огненный**—**огнистый**, **охристый**—**охровый**—**охряный**...

ეს ერთი სიტყვის ვარიანტებია. მათ რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე სრულხმოვნის და არასრულხმოვნის ფუძეებისგან ნაწარმოები ფერის აღმნიშვნელი სახელები: **серебристый** — **სრებრისტნი**, **золотистый** — **ზლატისტნი**, **золотой** — **ზლათნი**, ლიტერატურული და დიალექტური ან მოძველებული ფორმები: **смолистый** — **სმольნი**, **коралловый**—**კორალნი**, **мышинный**—**мышастый**.

ქართულსთვის დამახასიათებელია კომპოზიტური და სუფიქსიანი ფორმების შემცველი აბსოლუტური სინონიმები: **ალისფერი** — **ალური**, **ვერცხლისფერი** — **ვერცხლოვანი**, **ფიროსისფერი** — **ფიროსოვანი**, **ზურმუხტისფერი** — **ზურმუხტოვანი** და სხვა; მასუბსტანტივებელ -ა სუფიქსიანი ფორმები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მსაზღვრელად იხმარება: **ყირმიზი** — **ყირმიზა**, **ლალისფერი** — **ლალისფერა**, **ლემანი** — **ლემანა**, **რუხი** — **რუხა**, **შავფერი** — **შავფერა**.

აბსოლუტურ სინონიმებს, ანუ სიტყვის ვარიანტებს, წარმოადგენენ კომპოზიტები და „ფერი“-ს გარეშე ხმარებული ფორმები: **ქლავი** — **ქლავლისფერი**, **სოსანი** — **სოსანისფერი**, **ნარინჯი** — **ნარინჯისფერი**, **ძოწი** — **ძოწისფერი**, **ჯორა** — **ჯორაფერი**, **ჯივარი** — **ჯივარისფერი**.

ნასესხები ფუძეები ორსავე ენაში გვხვდება: **ხაკი**, **ბორღო** და **სხვ.** ქართულში ისინი რუსულის გზით არიან შემოსული, სადაც მათი რიცხვი მეტია: **беж**, **бордо**, **фрез**, **сомо**//**сомон**, **хаки**, **электрик**, **массака** და **სხვ.** სასაუბრო მეტყველებაში ეს ფუძეები ხშირად იმ ენის გრამატიკულ წყობას ექვემდებარებიან, რომელიც მათ ითვისებს და ამრიგად აბსოლუტური სინონიმების სახით წარმოგვიდგებიან: **ხაკი**//**ხაკისფერი**, **ბორღო**//**ბორღოსფერი**. რუსულში: **бордо**//**бордовый**, **беж**//**бежевый**, **массака**//**массаковый**, **терракот**//**терракотовый**, **индиго**//**индиговый** და **სხვ.** აბსოლუტური სინონიმების ვარიანტებს ჩვენ ერთ სიტყვად განვიხილავთ, რადგან შესატყვისობის თვალსაზრისით განსხვავებულს არაფერს ვგაძლევენ.

ორსავე ენაში გვხვდება ზედსართავეები, რომლებიც ფერის გარდა რაიმე დამატებით თვისებას შეიცავს. მაგ.: **льняной** — ლია ფერის რბილ თმაზე ითქმის; **мочальный** — ლია ფერის უხეშ თმაზე. **ვიზრისფერი** და **აგათოვნი** — ორსავე ენაში შავ, მბზინავ თმასა და თვალებს აღნიშნავს. **Лилейный** — სითეთრის გარდა სინაზეს, სინატიფეს გამოხატავს; **смолистый**//**смольный** — შავ ფერთან ერთად თმის ბზინვა ივარაუდება;

²⁰ Шанский Н. М., Лексикология современного русского языка. М., 1972, გვ. 56.

სვილისფერი — მკრთალად შავგვრემანი, ფეროვნებას მოკლებული. უნდა შევნიშნოთ, რომ რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონები უფრო დაწვრილებით აღწერენ ასეთ სიტყვებს.

ორსავე ენაში თავისებურ დანამატს ქმნის ფერის ნაკლები ინტენსივობის აღმნიშვნელი ზედსართავები²¹, ე. წ. ოდნაობის გამომხატველი სიტყვები: მოალისფრო, მოყავისფრო, მოწითალო (მოწითანო, მოწითლო), წაწითალო, წარუხო, წათეთრო და ა. შ. ქართულ ენას ახასიათებს პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება **მო-**, **წა-** პრეფიქსებითა და **-ო** სუფიქსით, რუსულ ენას კი — სუფიქსური წარმოება **-ოვ**, **-ევ**, **-ათ**, **-ისტ** სუფიქსებით: **розоватый, красноватый, рыжеватый, багрянистый**.

ოდნაობის გამომხატვა ქართულისთვის უფრო აქტიური ჩანს, რადგან მისი წარმოება პრაქტიკულად ყველა სიტყვისგან არის შესაძლებელი, იშვიათად ხმარებული სიტყვებისგანაც კი იგი ძალიან ადვილად იწარმოება: მომრეშო, მოუღალო, მოსადაფისფრო, მოხორცისფრო, მორკინისფრო, მოქარვისფრო, მოყანგისფრო, მოწენგოსფრო, მოფერფლისფრო და სხვ., რასაც ვერ ვიტყვით რუსულზე, სადაც ამ კატეგორიის ზედსართავები ყველა სიტყვისგან ვერ იწარმოება. მაგ.: **абрикосовый, аквамариновый, белоснежный, васильковый, вишневый, восковой, дымный, железный, земляной, изумрудный, кармазинный, киноварный, кирпичный, кровавый, лазоревый, лимонный, молочный, небесный, огненный, палевый, хаки, бордо, маренго...**

ამიტომ ქართულიდან რუსულად თარგმნისას მათ ხშირად ეკვივალენტი არ ეძებნებათ და სხვაგვარ თარგმანს მიმართავენ (აღწერითს, მიახლოვებითს). მაგ.: მოვერცხლისფრო — **чуть серебристого цвета** (დათ.), მოწაბლისფრო — **слегка каштановый** (დათ.), მოალისფრო — **красноватый** (დ. ჩუბ.).

ოდნაობას ქართულში აგრეთვე გაორკეცებული ფუძე გადმოსცემს. მაგ.: წითელ-წითელი, შავ-შავი²². ამიტომ სიტყვას **красноватый** ქართულში შეიძლება შეესატყვისებოდეს მოწითალო, წაწითალო, წითელ-წითელი. ამათგან უფრო აქტიურია **მო-** პრეფიქსიანი წარმოება.

რუსულში ქართულისგან განსხვავებით ფართოდ იხმარება **-еньк-** სუფიქსიანი კნინობით-საალერსო ფორმები: **беленький, черненький, розовенький, голубенький**, რომლებსაც ქართულში არ აქვთ ადეკვატური შესატყვისი და ჩვეულებრივ დადებითი ფორმით უნდა გადმოიცეს სათანადო კვალიფიკაციის მითითებით.

²¹ Юрик В. Г., Опыт структурного анализа семантического поля цвета в русском и латышском языках. УЗ Латвийского гос. университета им. П. Стучки. ФН, т. XXV, вып. III А, Рига, 1958, გვ. 191.

²² თუმცა ფუძის გაორკეცებას სხვა ფუნქციაც აქვს — სიმრავლესაც გადმოცემს. ბ. ფოჩუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 143.

გვხვდება აგრეთვე ხალხურ-პოეტურსა და სასაუბრო მეტყველების-თვის დამახასიათებელი -*ѣхоньк-*, -*ѣшеньк-* სუფიქსიანი ფორმები: *зеленѣхонький*, *зеленѣшенький*, *чернѣхонький*, *чернѣшенький*, *синѣхонький*. მათ გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვთ და ფერის მეტ ინტენსივობას აღნიშნავენ. ქართულში მათ არ ექებნებათ ადეკვატური შესატყვისი და აღწერითად გადმოიცემიან. მაგ.: ძალიან შავი, მეტად შავი, მუქი ლურჯი, და მოკლებულია ყოველგვარ სუბიექტური შეფასების მომენტს.

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ ქართული და რუსული ენების ფერთა ამსახველი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. როგორც ვხედავთ, ფერთა დასახელება ენაში რთულ სისტემას ქმნის. ეს შეეხება როგორც ფერისა და ელფერის გამოყოფას, ისე მათი აღნიშვნის საშუალებებს. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ენა საკმაოდ დიდ სხვაობას გვიჩვენებს. ამიტომ მეტად საინტერესოა სხვადასხვა ენის ფერთა ლექსიკის განხილვა შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების ბევრი აქტუალური საკითხის გადაჭრისათვის²³.

23. Чикобава А. С., Сопоставительное изучение языков, как метод исследования и метод обучения. РЯИШ, 1957, № 3, გვ. 3.